

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ.ჩაგანავას
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2019წელი, 11 თებერვალი

დაბა ლაითური

13.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: გ.ღურჯუმელიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა აქტიურობაც, განაცხადა, რომ გ.ჩაგანავა არის საკრებულოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, გ.ჩაგანავამ, საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც

საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, გაწეულ საქმიანობაზე, დაბა ლაითურში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

ამომრჩევლებმა საკრებულოს წევრის წინაშე დააყენეს რამდენიმე პრობლემა-მათ შორის შიდა საუბნო გზების მოწესრიგება.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც, მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ გ.ჩაგანავა არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას. კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მის აქტიურობას მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებაში, მიზანშეწონილად მიიჩნია ანგარიშის დამაკმაყოფილებლად შეფასება, მისი აზრი გაიზიარეს საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ, ამომრჩევლებმა და კოლეგებმა.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია და აღნიშნა, რომ სასიამოვნოა, როცა საკრებულოს წევრზე ისმენს კოლეგებისა და, განსაკუთრებით ამომრჩევლებისაგან დადებით შეფასებებს, მაღლობა გადაუხადა გ.ჩაგანავას აქტიური მუშაობისათვის, ხოლო ამომრჩევლებს მოსვლისა და მხარდაჭერისათვის. განაცხადა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ.დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის -ფურცლად)

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო